სასწავლო–სამეცნიერო და სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების თვითშეფასების შესახებ

1. დაევალოს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო–სამეცნიერო და სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებს 2013 წლის პირველი ინვრიდან ყოველწლიურად მოახდინონ სამეცნიერო მუშაობის თვითშეფასება.
2. თვითშეფასება ჩატარდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენციის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი კვირის ვადაში.
3. თვითშეფასება უნდა შეიცავდეს
   3.1. საკუთრივ თვითშეფასებას ერთ–ერთი შემდეგი ფორმულირებით:
      3.1.1. კვლევითი მუშაობა კარგად ტარდება;
      3.1.2. კვლევითი მუშაობა დამაკმაყოფილებელად ტარდება;
      3.1.3. კვლევითი მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი.
   3.2. არანაკლებ სამ რეკომენდაციას სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში.
4. თვითშეფასების დოკუმენტის განხილვას უზრუნველყოფს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საერთო კრებაზე.
5. თვითშეფასების დოკუმენტს ხელი უნდა მოაწეროს საერთო კრების ყველა მონაწილემ ერთ ერთი შემდეგი ფორმულირების ქვემოთ:
   5.1. თვითშეფასებას ვეთანხმები;
   5.2. თვითშეფასებას არ ვეთანხმები.
6. თვითშეფასება განსახილველად უნდა წარედგინოს ფაკულტეტის საბჭოს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენციის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი კვირის ვადაში.